# სახალხო გაზეთი

№ 684 კვირა, 26 აგვისტო, 1912 წ. № 684

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; რედაქტორთან თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. ... მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## იმ ხელის მომწერთ

რომელთაც „გრდემლი“ ერგებათ და ჯერ არ წაუღიათ, ვთხოვთ ან წაიღონ რედაქციიდან ან გამოგზავნონ ფოსტის ხარჯად 30 კ. (შეიძლება მარკებით) რომ ადგილობრივ გაეგზანოთ.

სახ. გაზ. კანტორა.

---

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

**1 ენკენისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 3 მან.**

**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე**.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა**.

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

საზაფხულო **ახალი კლუბი** თეატრი.

**ხუთშაბათს 30 აგვისტოს,**

## ლოტბარ ს. ი. პრესმანის ბენეფისი,

**სიმფონიური საღამო** კ. ო. ვალენსკის (ტენორი), თამარა ძნელაძის (მესკრიპკე) და ქ-ნ მ. დ. გედევანიშვილის (სოპრანო) მონაწილეობით. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყ. საღ. **9 საათ.**, თეატრში შესავლ. ფასი 1 მანეთიდან 10 კ.-დე. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან: კაცები 50 კ., ქალები, სტუდ. და საშუალ. სასწ. მოწაფენი 25 კ. ბილეთები უკვე იყიდება. (4—1445—2)

---

**გაზეთი კახეთში.** 2 სექტემბრიდან **ქ. სიღნაღში** გამოვა **კ. ი. ტყავაძის** რედაქტორობით ყოველ-დღიური (ჯერ-ჯერობით მარტო კვირაობით) ქართული გაზეთი

## „ხმა კახეთისა“

**ფასი გაზეთისა:**

| | გაზეთის კანტორაში. | სიღნაღში დატარებით. | სოფლის აგენტებთან. | ფოსტით. |
|---|---|---|---|---|
| **წელიწადში** — | 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. | 1 მ. 40 კ. | 2 მ. 20 კ. |
| **1 იანვრამდე** | 40 „ | 50 „ | 50 „ | 80 „ |
| **ერთი თვით** | 10 „ | 12 „ | 12 „ | 20 „ |

**ცალკე ნომერი ყველგან 3 კაპ.**

რედაქცია და კანტორა იმყოფება წმინდა-სტეფანის ქუჩ., № 22, სახლი ი. ტყავაძისა.

(3·1466.2) ფოსტით მისამართი: **ქ. სიღნაღი. კ. ი. ტყავაძეს.**

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმანიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10. |
| | **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12. |
| | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფიდორთვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| [illegible] (ქირურგ.) | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშობიარო ქალ. სნეულ. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. |
| | **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| | **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| | **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვ. ავადმყ. | **ლამბაშიძე გ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს. |
| | **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. |
| | **ფიდორთვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. |
| | **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2. |
| | **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათ. [illegible]ით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. (წ. 1010.102)

---

მიიღება ხელის მოწერა

## „პოლიტიკულ გზაზე“

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიასი.

(რომანი)

600 გვერდამდე კარგ ქაღალდზე დაბეჭდილი წიგნი ხელის მოწერით ეღირება, მხოლოდ **ერთი მანეთი**, შემდეგ კი ფასი ერთი-ორად იქნება გადიდებული. შეიძლება დაკვეთა: ტფილისში—ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში; ქუთაისში—კანტორა „იმერეთში“ და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში; გორში—გაზეთ „ქართლის“ კანტორაში და ი. კვალიაშვილის აფთიაქში, აგრეთვე კანტ. „იმერეთის“ ყველა პროვინციელ აგენტებთან და ქართულ წიგნების დამტარებელ ი. კერესელიძესთან. **ადრესი:** Гори, Анастасіи Хоштарія. (ამ შემთხვევაში ფულის გამოგზავნის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია). (25—1456—6)

---

## საკანდიტრო და საბულკო ძმათა საგანელოვებისა

**პუშკინის ქუჩაზე**

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ სექტემბრის პირველ-სამიდან საკანდიტროსთან გავხსენით

## საყავე,

სადაც შეიძლება მოიკითხოთ ჩაი, ყავა, შოკოლადი, კაკაო, რძე, მაწონი, ნაყინვი, ცხელ-ცხელი პიროჟკები და მადნეულიანი წყალი. (2—1469—1)

---

**პირველ ენკენისთვიდან იხსნება ქ. ტფილისში**

## ჭრა-კერვისა

და აგრეთვე სხვა და სხვა ხელ-საქმის **სკოლა.**

მოწაფენი მიიღებიან წლოვანების განურჩევლად. მისამართი: იზმაილოვის შესახვევი, № 6. (3—1468—1)

---

## ვასწავლი „ქართულ სიმღერა გალობას“,

**მიღება და ჩაწერა ყოველ დღე. შემდეგს დროსა და ადგილს.**
ორშაბ., ოთხშ., შაბათობ. საღ 5—7 ს. და კვირ. დღის 2—4 ს. ავჭალ. ქ., № 29. სამშაბათ., ხუთშაბათ., და პარასკეობით საღ. 5—7 ს., ავჭალის მოედანი, № 11. მიიღებიან: მოხელენი, უფრ. კლას. მოწაფენი, ნოქრები, მუშები, კერძო პირნი და სხ.

**ვაარსებ აგრეთვე ქართველ მუშათა გუნდს.**

(12.1435.10) იკითხეთ **მიხეილ კავსაძე.**

---

**შეიძლება დაკვეთა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყოლღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და **წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** ✦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** ✦ **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** ✦ **ერევანში—ელენე ვირსალაძესთან**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—153—3)

---

## ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭო

ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისათვის

## იწვევს ინსპექტორს

უნივერსიტეტში საფიზიკო და სამათემატიკო ფაკულტეტ კურს დამთავრებულს. ჯამაგირად ექმნება წელიწადში ორას თუმნამდე, მოწყობილი ბინა განათება-გათბობით. ვისაც ამ თანამდებობის მიღება ჰსურს, შესაფერის განცხადებით უნდა მიჰმართოს შავიქვის მრეწველთა საბჭოს ქუთაისში, სექტემბრის ხუთამდე. (3.1467.1)

---

„ტფილისის ქართულ საამხანაგო

## მომღერალ-მგალობელთა გუნდი“,

(დაარსებული 1910 წ.)

აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მას ჰყავს **25—50 კაცამდის შემდგარი, ახლად შეკერილ საკუთარ ქულაჯებით გამოწყობილი გუნდი,** რომელსაც ლოტბარობს **მიხეილ კავსაძე.** გუნდი **1 ენკენისთვიდან** განაგრძობს თვის მოქმედებას: ასრულებს საქართველოს ყველა კუთხის სიმღერებს და ეკლესიურ გალობას, მონაწილეობს კონცერტებში, სამუსიკო დილა-საღამოებზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებშიაც. გუნდის მიწვევა, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ: 1. გუნდის გამგეობის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** სადგ. მახლობ. ანდრეევის ქ., № 87. 2 მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** კვიროცხოვლის ქ., № 28, და 3. **მიხეილ კავსაძესთან,** ავჭალის მოედანი № 11.

**ვაარსებთ ქართველ მუშათა მომღერალ გუნდსაც.**

(10.1449.3) **გუნდის გამგეობა.**

---

**ვიღებ მოწაფე ქალებს**

წლოვანთ და მცირე წლოვანთ, ვასწავლი ყველა ხელსაქმეს სამაგალითოდ ვამზადებ სამ თვეში.

მისამართი: მიხეილის ქუჩა № 120, იკითხეთ **ცხვარაძესთან.** მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—12 ს., სადამოთი 4 საათზე. (3.602.3)

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. სადამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020 373)

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.
**მდებრიშვილი**—შინაგ., ბავშვ.—ორშაბ. ოთხშ., პარასკ., კვირაობით 4—5 ს.
**გრეიცი**—თვალ. ავადმყ., ყ.-დღე 12-1 ს.
**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დ. 10 ს. 1½ ს.
**მოსხე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხ პარასკ. 2—3 საათ.
**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს.
**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.
**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.
**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს
**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროთერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—1 ს.
**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.
**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 2—3 საათ.
**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.
**ტერ-ნერსესოვი.** ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.
**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.
**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.
**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 10—11 ს.
**გურგენიძე** შინაგ., სამშ., ხუთშ. 4—5 ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით. (თ—1365. 24)

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოლღანოვის ქ. № 20. (წ.—1022—73)

---

**ექიმი** კბილისა აბასთუმანში **ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს. აგარაკი ტერმარქაროვისა. (0—1334—51)

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.
**ბ. ა. ბოჰოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.
**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606“-ით.**

(წლ—1018—64).

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედ. ქ.,** № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—98)

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ კაეთის ქ.. № 6

---

**ექიმი ქალი დ. გ. საყვარელიძე.**

იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე.

კიროჩნის ქუჩა, № 9. (25.595.12)

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს, საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. ვაჩაშვილისა.

---

**ექიმი ს. ი. ბძელიშვილი**

შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. (0—1411—32)

---

**ექიმი ქალი კბილისა ნინო რცხილაძე**

20 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს **ქ. თელავში.** 3—9 საათამდე

---

**ექიმი პ. არდაზიანი**

შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. (25.1045.187)

---

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულ. ავადმყოფ. დილის 9—3 საათ., საღამოს 7 ს., ბაქოს ქუჩა. № 12.

---

**ექიმი კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ჭაჭაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ. 1049—128)


## ქართული პრესა

„დილას“ არ მოსწონს, რომ მის ნაწერებს ჩვენ ოხუნჯობით ვაძლევთ პასუხს. არ მოსწონს, მაგრამ იძულებულნი ვართ ეხლაც ოხუნჯობით ვუპასუხოთ. როგორ შეიძლება სერიოზულად ეკამათო გაზეთს, რომელიც აი ამისთანა რამეს დასწერს:

„დღეს პრიმიტიულ აზრს (ოღონდაც რომ პრიმიტიულია, ეგრე გაიმათრახეთ თავი, ღირსი ხართ!) იგი (ე. ი. ჩვენ) ასეთ ღრმა-აზროვან ფრაზით აძლევს პასუხს: „უცხოელების კაპიტალი საქართველოს გამოსწოვს საუკეთესო წვენს, უცხოეთის კაპიტალი ოქროდ ნაქცევ სიმდიდრეს საზღვარ-გარედ გაზიდავს და აქ დაგვრჩება გამო-

ფიტული, ბოგანოდ ქცეული სამუშაო ძალა (და არა „მუშა ძალა“, როგორც განზრახ გადაუმახინჯებია „დილას“).

მოჰყავს ეს ციტატა და ქვეშ ამისთანა სტრიქონებს უწერენ:

„აი ღრმა აზროვნების საუცხოვო ნიმუში: ბოგანო მუშა ძალა გამოფიტული (?) ყოფილა, სიბრძნით (?) სავსე კი მხოლოდ კაპიტალისტი“.

რა შუაშია აქ კაპიტალისტის „სიბრძნე“, თქვე საცოდავებო? თუ იმდენიც ვერ მოგიხერხებიათ, რომ ასეთი უბრალო აზრი გაიგოთ და შეითვისოთ, არა სჯობიან მწერლობას თავი დაანებოთ და სხვა რამ ხელობას, თუნდა მეჩექმეობას, მოჰკიდოთ ხელი?

* * *

„დილამ“ უცხოეთის კაპიტალს ხომ გზა გაუხსნა, მობრძანდით და გვჭამეთო, ეხლა რუსეთის უწ. სინოდს ეუბნება, ბრძანდებოდე და გვიბატონეო. ტყუილად გაჯავრდებით! თქვენს გალაშქრებას ავტოკეფალიის წინააღმდეგ მხოლოდ ესეთი აზრი შეიძლება ჰქონდეს. აი, რასა სწერს „დილა“:

„როგორც ვიცით, ამ ბოლო დროს რუსეთის სამღვდელოება დიდ ფაცი-ფუცშია, დიდ სამზადისშია; უნდა პოლიტიკური საქმე სახელმწიფოსი ხელთ იგდოს და შიგ გამაგრდეს. უწმინდესი სინოდი—ცირკულიარს ცირკულიარზე უგზავნის თავის ხელ-ქვეითთ—მზად იყავით, მრევლზე გავლენა მოახდინეთ და ჩვენი კაცები აარჩევინეთო. არა ნაკლებ ხმაურობენ ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლებიც. იგინიც ემზადებიან, მაგრამ მათი ზრუნვის საგანი ერთი შეხედვით სხვაა—იგი ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის გარშემო ტრიალებს. მართლაც, ერთი შეხედვით, ეს ორი სხვა და სხვა მიმდინარეობაა. პირველი ცდილობს სახელმწიფოში განსაზღვრულ გავლენის მოპოვებას, მეორე კი ამ გავლენისაგან განთავისუფლებას, პირველი ფიქრობს ბატონობის განმტკიცებას, მეორე სხვის ბატონობისაგან თავის დახწევას“.

მიუხედავად ამისა რუსის სამღვდელოებისა და ქართველ ავტოკეფალისტთა სულის კვეთება არსებითად ერთნაირი ყოფილა.

„განსხვავება მხოლოდ საშუალებებშია,—სწერს „დილა“.—პირველი სცდილობს მიზნის მიღწევას სახ. სათათბიროში ძალის მოპოვებით, მეორე საქართველოს საექსარხოსოს ხელში ჩაგდებით“.

მორჩა და გათავდა! დაჯდა ბრძენი პუბლიცისტი, მოუსვა კალამი და ერთი კალმით მოსპო ერთი უდიდესი საკითხთაგანი. არა, ბატონებო, ჩექმები, ისევ ჩექმები კერეთ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ზაკავკ. რეჩ“-მა ჩვენს წერილზე არჩევნების შესახებ ბრაზიანი და ბოროტი შენიშვნებით გვიპასუხა. პ. გოთუას გაზეთს მეტიც არ შეუძლიან. მაგრამ, მგონია, თავ-დაჭერილობა თუ არა, ელემენტალური ზრდილობა მაინც საჭიროა ისეთი გაზეთისაც-კი, რანაირიც „ზაკავკ. რეჩ“-ია. „ზაკავკ. რეჩ“-მა ზოგიერთი ადგილები ჩვენი წერილისა ისე გადათარგმნა, რომ განზრახული დაბეზღება თუ არა, თავ-აღებული უზრდელობა მაინც გამოვიდა. მაშ რა უნდა დაერქვას, თუ არა უზრდელობა იმ უყურადღებობას, რომლითაც გადათარგმნა ჩვენი წერილი.

ჩვენი მეთაური თავდებოდა ასეთის სიტყვებით:

„პოლიტიკურად უფერული, მლიქვნელი და პატარა საქმეთა ფილოსოფიით გაჟღენთილი დეპუტატი სიკვდილი იქნება საქართველოს **პოლიტიკურ თვითცნობიერებისა**“.

ამ ადგილს თაღლითობს დაჩვეული გაზეთი ამნაირად სთარგმნის:

„პოლიტიკურად უფერული, მლიქვნელი და პატარა საქმეთა ფილოსოფიით გაჟღენთილი დეპუტატი სიკვდილი იქნება საქართველოს **პოლიტიკურ თვითმმართველობისთვის**“ (будетъ гибелью для политическаго самоуправленія грузіи).

აღვნიშნავთ ამ დამახასიათებელ მოვლენას, რათა ჩვენმა მკითხველებმაც იცოდნენ, რა ჯურის პუბლიცისტებისაგან შესდგება „ზაკავკ. რეჩ“-ი.

ამ დაბეზღების შემდეგ „ზაკავკ. რეჩ“-ი კატეგორიულად აცხადებს, „სხვა და სხვა მოსაზრებათა“ გამო ჩვენი გაზეთი არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებსო. მოვახსენებთ „ზაკავკ. რეჩ“-ს, რომ ამის იმედი არავის არა ჰქონია. დიდი თავ-ხედობა იქნებოდა ისეთი გაზეთისთვის, როგორიც „ზაკ. რეჩ“-ია, აქტიურად გამოსვლა არჩევნებში. ჩვენ მიუთითეთ მხოლოდ იმ ჯგუფზე, რომელმაც გასაოცარი პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინა საქალაქო არჩევნებში და რომელსაც „ზაკ. რეჩ“-ი ხელ-მძღვანელობდა.

რაიცა შეეხება ჩვენს გეროსტრატობას, მოვახსენებთ „ზაკ. რეჩ“-ის პუბლიცისტებს, რომ სჯობია ადამიანმა ცეცხლის ალს მისცეს ტაძარი სახელის მოსაპოვებლად, ვიდრე ხმოსნის სკამის დასაჭერად.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**კავკასიის ნამესტნიკს წარუდგა** 24 აგვისტოს გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. ნ. ა. თუმანიშვილი.

**✦ წირვა და პანაშვიდი.** გუშინ ალექსანდრე-ნეველის სამხედრო ტაძარში მწირველი იყო ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი. წირვის შემდეგ ეგზარხოსმა ინოკენტიმ, ეპისკოპოსებმა ანტონიმ და პიმენმა პანაშვიდი გადაიხადეს ალექსანდრე პირველისა და სამამულიშვილო ომში დახოცილ მეომართა სულის მოსახსენებლად. დაესწრნენ კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი მეუღლითურთ, ნამესტნიკის თანაშემწენი, გენერლობა, ქალაქის თვითმმართველობისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. სიტყვა წარმოსთქვა სემინარიის მასწავლებელმა ბერ-მონაზონმა ნიკოლოზმა.

**✦ დათხოვნილი მასწავლებლები.** სახალხო სკოლების დირექტორმა, თანახმად ექსარხოსის მოადგილის ეპისკოპოს პიმენის წინადადებისა, სამსახურიდან დაითხოვა სამღვთო სჯულის ორი ქართველი მასწავლებელი: ვერის მესამე საქალაქო სკოლისა—მღვდელი ლეონიძე და ჩუღურეთის საქალაქო სკოლისა—მღვდელი თეზბაძე, მათ ადგილებზე რუსი მღვდლები დანიშნა. ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისია დირექტორს არ ეთანხმება და მისი დადგენილების განსაჩივრებას აპირობს. კომისიის აზრით, დირექტორს მასწავლებლების დათხოვნის უფლება კი აქვს, მაგრამ ახალ მასწავლებლების დანიშვნა ქალაქის გამგეობის დაუკითხავად არ შეუძლიან.

**ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი** ტფილისში 1 სექტემბერს დაბრუნდა.

**მებამბეთა კრების** მოსაწყობად მიწადმოქმედების დეპარტამენტმა კავკასიის რწმუნებულს 2,400 მან. გამოუგზავნა.

**✦ თავის მოკვლა.** 24 აგვისტოს, ნაშუადღევის პირველს საათზე, ნამესტნიკის კანცელარიის მოსამსახურე პეტრე ოდნოროზოვი, 27 წლისა, თავის მოკვლის განზრახვით, მესამე სართულიდან გადავარდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა.

**✦ ცოლ-ქმრის ტრაგედია.** 24 აგვისტოს, დილის 5 საათზე, ტფილისში უეცრად გარდაიცვალა გიორგი ოჰანეზას ძე ვართანოვი, 37 წლისა. მის ცოლზე, სოფიო გეორქას ასულზე, ამ ამბავმა ისეთი დიდი გავლენა იქონია, რომ აიღო და კარბოლის სიმჟავე დალია. ქალი ჩქარა გარდაიცვალა. ცოლ-ქმრის გვამები მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

**✦ გაზეთის განახლება.** ტფ. რუსთა პატრიოტიულ საზოგადოებას დაუდგენია, კვლავ გამოსცეს თავისი გაზეთი; „ლეტოპის პატრიოტიჩესკაგო ობშჩესტვა,“ რომელიც კარგა ხანია შეჩერებულია. რედაქტორად იქნება ამ საზოგადოების რწმუნებული სახელმწიფო სათათბიროს წევრი თ. თ. ტიმოშკინი.

**✦ პურის ნიხრის დარღვევისათვის** გუშინქალაქის მერვე უბნის სავაჭრო მეთვალყურემ ოქმი შეუდგინა ექვს მეპურეს.

**✦ პურის ნიხრის შეცვლა.** 24 აგვისტოს ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ ითათბირა პურის ნიხრის შესახებ. კომისიამ საჭიროდ დაინახა ნიხრის მომატება. გირვანქა ფურნის პურზე დააწესა: პირველ ხარისხზე—$4^1/_4$ კაპ., მეორეზე 4 კ. და მესამეზე—$3^1/_2$ კ. თორნის პურზე დააწესა: პირველ ხარისხზე—$4^1/_2$ კაპ., მეორეზე—4 კ. და მესამეზე -$3^3/_4$ კ. ლავაში: პირველ ხარისხისა—$4^3/_4$ კაპ. და მეორისა—$^1/_4$ კაპ.

**✦ სვანეთის აღწერა.** მოკლე ხანში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება გამოსცემს ახალს წიგნს: „სვანეთის აღწერა“-ს.

**✦ ჟურნალი „მოსავალი“.** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი“-ს აგვისტოს ნომრები (15 და 16), რომელშიაც მოთავსებულია წერილები ვ. გულბათიშვილისა, პრ. პეტრიაშვილისა, ვინმე მესხისა, შ. დედაბრიშვილისა და მესხის კ. გვარამაძისა. ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე სხვა და სხვა საყურადღებო ცნობა.

✦ 24 აგვისტოს, ტფილისში 25 უპასპორტო შეიპყრეს.

### სასამართლო

**✦ დუელი.** მკითხველ ახსოვთ, რომ ამას წინად დუელი მოხდა თავ. ლ. ლ. მაღალაშვილსა და „ზაკავკაზიე“-ს რედაქტორ ი. ი. რადიკეს შორის. რადგანაც დუელი ნებადაურთველი იყო, მაღალაშვილი და რადიკე სამართალში მისცეს. 24 აგვისტოს ტფ. სამაზრო სამომრიგებლო სასამართლომ გაარჩიეს ეს საქმე და ბრალდებულთ სამ-სამის დღით დაპატიმრება მიუსაჯა.

### სასწავლებლებში.

**✦ ახალი სკოლები.** სახალხო სკოლების დირექტორმა გუბერნატორს დასამტკიცებლად, წარუდგინა სოფლელთა დადგენილება, რომლის ძალითაც სკოლები უნდა დაარსდეს გორის მაზრის სოფლებში: საკორინთლოსა, ტყვიავსა და ატოცში.

### გორი

✦ სექტემბრის პირველ რიცხვებში ქ. გორს ეწვევა ჩვენი ცნობილი ლექტორი გრ. რობაქიძე და წაიკითხავს რამდენიმე ლექციას.

## ჟურნალისტის დღიური

78.

### ექიმთა საზოგადოება.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებულ წერილში ბ-ნი გძელიშვილი ფრიად საყურადღებო საკითხს ეხება. ქართველ ექიმთა საზოგადოების დაარსებაზე მოგახსენებთ. მგონია არც ერთი პროფესიის ხალხი არ არის იმაზე მეტი, რაც ექიმებია, მიუხედავად ამისა, ქართველი ექიმები დაუკავშირებელნი არიან. ჩვენში, სადაც საერობო თვითმმართველობა არ არსებობს, ქართველ ექიმთა საზოგადოებას დიდი სამსახური შეეძლო გაეწია ხშირად ელემენტარულ საექიმო დახმარებას მოკლებულ ქართველ ხალხისთვის. შესასწავლია, როგორც ბ-ნი გძელიშვილი ბრძანებს, ქართული ხალხური მკურნალობა, შესასწავლია მრავალი ადგილობრივი ავადმყოფობა; გარდა ამისა, საჭიროა სამკურნალო ცნობების გავრცელება. ერთის სიტყვით ქართველ ექიმთა საზოგადოებისთვის ფრიად ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაიშლება.

თავის პირდაპირ დანიშნულების გარდა, ექიმთა საზოგადოება იმითიც კარგია, რომ დღეს დაქსაქსულ ქართველ ექიმებს შეაკავშირებს და საერთო მიზანს დაუსახავს. კარგია თეატრი, კარგია სიტყვა-კაზმული მწერლობა, მაგრამ არა ნაკლებ ძვირფასია ხალხის ჯანმრთელობა, რომლისთვისაც ჩვენმა ექიმებმა შრომა არ უნდა დაიშურონ.

ბ-ნი გძელიშვილი პრაქტიკულ წინადადებასაც იძლევა, სთხოვს ექიმებს, განაცხადონ თავიანთი აზრი ამ საზოგადოების დაარსების შესახებ. იმედია, ბ-ნ გძელიშვილის წინადადება არ დარჩება „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა“.

**შინაური.**

## ქართველ ექიმთა საყურადღებოდ

(წერილი რედაქციის მიმართ)

თითქმის ყოველს დიდს ქალაქში არსებობს ესრედ წოდებული „ექიმების საზოგადოება“. საგანი ამ გვარ საზოგადოებისა შემდეგია. ექიმები დრო-გამოშვებით იკრიბებიან და უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ ნანახსა და ნაცადსა. თუ რომელსამე ექიმს შეჰხვდა იშვიათი ან რითიმე შესანიშნავი ავადმყოფი, მოჰყავს საზოგადოების კრებაზე და ამხანაგებს უჩვენებს, და თუ ეს შეუძლებელია, რეფერატსა კითხულობს. ამ გვარად ექიმები ზნეობრივად უახლოვდებიან ერთმანეთს, მეცნიერება სერთოდ ადევნებენ თვალსა, ცდილობენ ერთმანეთს არ ჩამორჩნენ, მუშაობის ხალისი ემატებათ, ფაქიზდებიან და საზოგადოებას უფრო ნაყოფიერად ემსახურებიან. ხშირად რაც ერთს კაცს არ ძალუძს, ამხანაგობისათვის ადვილი გასაკეთებელია. საქართველო ყველაფრით განსაკუთრებული კუთხეა რუსეთის იმპერიისა: აქვს განსაკუთრებული მდებარეობა, მიწა, წყალი, ჰავა, t-ი, საჭმელი და სასმელი. შედეგი ამისა ისაა, რომ ზოგს სნეულებას აქ, ჩვენში, სხვა ელფერი, სხვა მიმდინარეობა აქვს და განსაკუთრებული რჩენაა საჭირო. ამას გარდა ჩვენის ერის განსაკუთრებული ჩვეულებანი და ადათებიც დიდ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს ამ საქმეში.

არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ ქართველებმა მრავალი შინაური წამლობა იციან, ბევრი კარაბადინი მოიპოვება ხალხში და ხალხსაც ძლიერა სწამს კარაბადინიცა და შინაური წამლობაც. მრავალი კუთხე საქართველოსი უექიმოდ არის მიტოვებული. ხალხსა და მეტადრე ბავშვებს მუსრი ევლება მოარულების და ეპიდემიის დროსა, ხოლო მშველელი და პატრონი არსად არის.

ვინ უნდა იდარდოს, ვინ უნდა იფიქროს, რომ ხალხს აუხსნას და დაუმტკიცოს, რა სარგებლობა და ან რა ნაკლი აქვს კარაბადინსა და შინაურს წამლობას? ვინ უნდა ითავოს ან წამლობა ხალხისა ან სხვაფრივ რითიმე დახმარება უბედურებაში ჩავარდნილებისა?

ვინ და „ქართველ ექიმთა საზოგადოებამ“. ესეთი საზოგადოება აუცილებელი საჭიროებაა ჩვენთვის და რაც შეიძლება მალე უნდა დაარსდეს. ამ ჯერ ისევ დაუბადებელს საზოგადოებას უკვე ძალიან ბევრი სამუშაო მოუგროვდა და მუშებს ელის. ყველა საქმის ჩამოთვლა, რაც განზრახულმა საზოგადოებამ უნდა გააკეთოს, ერთბაშად შეუძლებელია და წინასწარიც გახლავთ.

მოვუწოდებ ქართველს ინტელიგენციას და განსაკუთრებით ქართველს ექიმებს, წარმოსთქვან თავისი აზრი ამ საგანზე, და თუ მოზიარენი აღმოჩნდებიან, ვეცადოთ და ჩქარა დავარსოთ „ქართველ ექიმთა საზოგადოება“.

უმორჩილესად ვთხოვ ჩემს ამხანაგ ქართველ ექიმებს, თუ მოისურვებენ განზრახულ საზოგადოების წევრობას, რედაქციაში ბარათები გამოგზავნონ და განაცხადონ თავისი სურვილი. როცა საკმაო რიცხვი შეიკრიბება გამოცხადებული იქნება დღე და ადგილი წესდების შესამუშავებლად. იმედია, რომ არც ერთი ქართველი ექიმი განზე არ გაუდგება ამ საქმეს.

**ექიმი ს. ი. გძელიშვილი.**

## აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

**წერილი მეცხრე.**

შემდეგი.*)

ხუთშაბათს, 26 ივლისს, რვა საათზე შევიკრიბენით მგოსანთან დავ. კანდელაკის ეზოში, ჩაი დავლიეთ და შეუდექით ბარგის შეკვრას. ამ დღეს უნდა გავბრუნებულიყავით ისევ ძველის გზით უკან, გაგვევლო **გონებში**, სადაც მგოსანი ძხლებლებითურთ მიწვეული იყო სადილზე მიხეილ ქიქინაძის ოჯახში ქერივ დიასახლის ტერეზიასთან, საღამოს უნდა გაგვევლო **ამბროლაურში** ჩაიზე და ვახშამზე იქაური მემამულის მინა გიორგობიანის სახლში და იმ ღამეს უნდა გაგვეწია **ს. სორში**, სადაც იყო დანიშნული ღამის გასათევად ძიხ. გოცირიძის ოჯახში.

დილიდანვე ამინდი შეიცვალა, დაჰბერა დასავლეთის ცივმა ქარმა, მოიღრუბლა და კიდევაც წამოწვიმა, მასპინძლის სახლის დერეფანში აქა-კი გარშემო თუთრად მოკაზმულ „ანგელოზებით“ (ქალიშვილებით) გადაიღო მხატვარმა კოტე ქავთარაძემ, ამასობაში ეტლებიც მოგვიყვანეს, გამოვემშვიდობეთ მასპინძლებს და გაუდექით გზას; ხოტევამდის, 4—5 ვერსის მანძილზე, სულ დაღმართი გვქონდა ჩასავლელი და რადგანაც გზები ძოსველდა ცხენებმა ფეხები ვერ მოიმაგრეს და ეტლებში ჯდომა სახიფათო შეიქნა. გადმოვიყვანეთ მგოსანი ეტლიდან და შევსვით ჯორზე, ჩვენც თან გავყევით გარშემო ნელ-ნელა; ასე ჩავედით მშვიდობიანად ხოტევის დუქნებამდის, შემდეგ კი ქიქინაძის ოჯახამდი თითქმის ნახევარი ვერსის მანძილზე აღმართზე უნდა აგვევლო. მალე შემოგვეგებნენ მასპინძლის შვილი და სიძე რამოდენიმე მარჯვე ბიჭებით, რომელთა დახმარებით ეტლები ავიყვანეთ მასპინძლის ეზოში; რადგანაც ვიჩქაროდით, მალე მასპინძლებმა სუფრა გაგვიშალეს და მოუჯექით 60-მდე სული; დიდებული მასპინძლობა იყო, თამადობა მიულოცეს მსაჯულს ვლ. აბულაძეს, რომელმაც ადღეგრძელა მგოსანი, მხლებლები, სამღვდელოება და სხვა სტუმრები; მოჰყვა სიმღერა და ქართული მოლხენა, თან ამინდიც გამოკეთდა და მზემ გამოანათა; მგოსანი თავს კარგად გრძნობდა; მან ადღეგრძელა დიასახლისი და მასპინძლები; დიასახლისის მაზლმა მოხუცმა **ნიკ. ქიქინაძემ** ყანწით ხელში მიჰმართა აკაკის: „ძვირფასო მგოსანო, აკაკი! ყველა ქართველი და მათ რიცხვში პატარა რაჭის მცხოვრებნიც, განურჩევლად წოდებისა, გიცნობენ ვინც ბრძანდებით, თქვენ იმისთანა მამულიშვილი ხართ, რომლისთანასაც საუკუნოები იშვიათად ჰშობს და რომლის სახელიც საუკუნოების შემდეგ უფრო მეტი სადიდებელი იქნება. ჩვენ, შენი თანამედროვენი, ბედნიერად ვთვლით ჩვენ თავს შენით და ამ ბედნიერებას ვუსურვებთ ყველა ქართველთა ყრმათ, რომელნიც დღეს აკვანში წვანან, რომ მოსწრებოდენ შენი სახელის გაცნობას შენის მხნედ ყოფნით მანამდის. მრწამს ისიც, რომ თვითეული შენი ფეხის გადადგმა იქნება აღნუსხული ისტორიაში, სადაც დღეს თქვენი აქ ყოფნაც მოხსენებული იქნება. ჩემის მხრივ ამ შემთხვევას ქიქინაძის შთამომავლობას წერილობით გადავცემ ანდერძად და იმ სავარძელზე, რომელზედაც შენ დღეს ზიხარ ჩვენს ოჯახში, ოქროს ასოებით აღვნიშნავთ დროს თქვენი აქ ყოფნისას და შთამომავლობას ძვირფას ნივთად დაუტოვებთ. დასასრულ გამოუთქმელი სიხარულით ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს“. სამ საათზე გავათავეთ სადილობა და გავემგზავრეთ. სანამ ეტლებში ჩავსხდებოდით, იქვე მეორე ეზოში ჩაგვიძღვა ნიკოლოზ ქიქინაძე. შეგვიყვანა მგოსანი მხლებლებითურთ სახლში და დაგვალოცინა ოჯახი „შამპანურით“; ოთხის ნახევარზე განვაგრძეთ გზა.

(შემდეგი იქნება)

**ლადო ბზვანელი.**

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 680.

## პირველი მოთამაშენი

### გიორგი ერისთავის „გაყრაში“.

ქართულ თეატრს არა ჰყავს თავისი მემატიანე. ამ საქმეს, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ხელს უშლის მასალების უქონლობა. ეხლა კი დადგა ისეთი დრო, რომ საჭიროა ვინმე მოკიდებდეს ხელს ჩვენი თეატრის წარსულის დასაბუთების გამოკვლევას. ამ მოკლე შენიშვნაში მოვიხსენებ მხოლოდ იმ პირთ, რომლებმაც პირველად ითამაშეს ჩვენი სცენის საუკეთესო მოღვაწე გიორგი ერისთავის კომედია „გაყრაში“.

საქართველოში მეფის მოადგილე მ. ს. ვორონცოვის დროს საექიმო ნაწილის უფროსად იმყოფებოდა ს. ს. ანდრეევსკი, რომელიც ძლიერ დაახლოვებული კაცი იყო ვორონცოვთან. როდესაც მ. ს. ვორონცოვმა კავკასიაში სამსახურს თავი დაანება, მაშინ ე. ს. ანდრეევსკიც გადაყვანილ იქმნა პეტერბურგში. ე. ს. ანდრეევსკის სიკვდილის შემდეგ დარჩა დღიური, წერილები, ქაღალდები, რომლებშიაც ძლიერ ბევრი რამ საყურადღებოა საქართველოსა და განსაკუთრებით მე-50 წლების ტფილისის შესახებ. ამ ქაღალდების გამოცემას შეუდგა მისი შვილი, ოდესაში ცნობილი საზოგადო მოღვაწე კ. ე. ანდრეევსკი; ქაღალდების რედაქტორობა და დაბეჭდვა მე მომანდო და ახლო მომავალში გამოქვეყნებულნი იქნებიან. როდესაც ქაღალდების შესწავლას შევუდექ, ვიპოვე ნაბეჭდი თაბახი ქაღალდი, შემდეგის წარწერით: „Либретто комедіи „Раздѣлъ“, ლიბრეტო შეიცავს გ. ერისთავის კომედია „გაყრას“, „გაყრა“ კი პირველად ითამაშეს 2 იანვარს 1850 წ., მაშასადამე დაახლოვებული ლიბრეტო ამ დღისათვის იყო შედგენილი და დაბეჭდილი. პირველ წარმოდგენას დაესწრო მეფის მოადგილე მ. ს. ვორონცოვი თავისი ოჯახობით და ამალით, ამათ რასაკვირველია, ქართული ენა არ ესმოდათ და უეჭველია ლიბრეტო მათ საყურადღებოდ იყო დაბეჭდილი. ყველა ამას არ მივაქცევდი ყურადღებას, რომ ჩემ ლიბრეტოს ცალს ერთი რამ რომ არ ახლდეს. თაბახის უკანასკნელ გვერდზე ე. ს. ანდრეევსკის ხელით არის ეხლა უკვე გახუნებული, მელნით დაწერილი, ვინ ასრულებდა სხვა და სხვა როლებს პირველ წარმოდგენაზე. ვინაიდან ჩვენის თეატრის დასაწყისში ქართველი მსახიობები არ იყვნენ, მსახიობების თანამდებობა იკისრეს კერძო პირებმა და მე მგონი ვალდებულნი ვართ, აღვნიშნოთ ჩვენი პირველი სცენის მოყვარეთა ვინაობა.

აი სია:

ანდუყაფარი — ილია ორბელიანი, (გენერალ-მაიორი).

პავლე—ოქრო ერისთავი.

ივანე—დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი, (ცნობილი საზოგადო მოღვაწე).

მაკრინე—ვ. გ. ანდრეევსკისა (ე. ს. ანდრეევსკის მეუღლე,—ორბელიანის ქალი).

ნინო—ანასტასია ორბელიანი.

კარდაშვერდი—მარიამ ერისთავი.

გაბრიელი—მ. ქილიაევი.

მიკირტუმ—გიორგი ერისთავი, (ავტორი კომედიისა).

მისი ცოლი—ქეთევან ორბელიანი.

შუშანა -ტასო ორბელიანი.

მდივანი გ. შანშიევი.

ბარამ—ნიკო ერისთავი.

იმერელი—გიორგი ერისთავი.

აი, ჩვენი ბრწყინვალე საზოგადოების წარმომადგენელნი პირველი სცენის მოყვარენი.

**სვიმონ ავალიანა.**

## ცოტა რამ ჟაკმენზე

შარშან, ყველა ჟაკმენის ხსენებაში იყო; ივნისში ბროშიურებიც გამოვიდა ბ. ტიებოსაგან შედგენილი, სადაც ძლიერ აქებდა ზემოხსენებულ წამალს. ბ-ნი ტიებო სწერდა: „ორი წელიწადია ჩემს მამულში ვცდიო“; ნუ თუ ეს ვერ გავიგე, როდესაც მე 1906 წლიდან 1910 წლამდის ბ. ანანოვების მამულში ვიმყოფებოდი, რომელიც ბ. ტიებოს მამულიდან სულ 6 7 ვერსზეა დაშორებული. 1911 წელს სინჯეს ჟაკმენი ბ. ანანოვების მამულში, მაგრამ როგორც დანამდვილებით გავიგე, ვერ მიიღეს კარგი შედეგი, რაიც შეხავებას დააბრალეს. 1912 წლის დამდეგს სუყველა დიდი და პატარა ჟაკმენზე ალაპარაკდა: ახალი წამალი გამოსულა, რომელიც შაბიამანისა და გოგირდის მაგიერობას ეწევაო. უნდა აღვნიშნოთ, რომ გოგირდით წამლობა ძალიან ეძნელება ჩვენ ხალხს, რადგან თვალებს ჰვნებს. ბევრმა რომ ამის გამო ეხლაც არა სწამლობს სულაც რომ წახდეს ვენახი,

ბ. ტიებოს შევეკითხე ჟაკმენის თაობაზე—მან საგანგებოდ მირჩია მისი ხმარება. ავიღე და ვუწამლე რამდენიმე ქცევას, ყოველგვარი სიფრთხილე ვიხმარე: დილის ათ საათიდან ვწყვეტდი მუშაობას და ნაშუადღევის ოთხ საათზე ვიწყებდი, მეშინოდა, რადგან გაგონილი მქონდა რომ ბ. ანანოვების მამულში ფოთლები ჟაკმენმა დასწვაო. ივნისის შუა რიცხვებში, ვენახი მეორეთ მქონდა მოწამლული; დაუკვირდი და ვნახე რომ სრულებით ახალ მოწამლულ ფოთოლს გაჩენოდა ჭრაქი. მაშინვე ძველ წამალზე გადაველ, თან ნაცარიც ეძიევნა უფრო კახურ საფერავში და რქა წითელში, მაგრამ ორი-სამი კარგი მოწამლით შევაჩერე ავადმყოფობა. ასევე ვურჩიე ახლობლებს. ვინც კი დროით უშველა ვენახი გადაარჩინა. ხოლო რომლებმაც ყური არ უგდეს მათი ვენახები მთლად განადგურდა. რად მოტყუვდა ბ. ტიებო? არ ვიცი იქნება მე ვარ მოტყუებული? არა, ვფიქრობ, რომ ეს წამალი უცდელად და ნაადრევად გაუშვიათ ხალხში.

**გრიგ. კაპანაძე.**

## მარიამობა კახეთში

თეთრი გიორგის ეკლესია, რომელიც დღესასწაულობს მარიამობას 15 აგვისტოს, იმყოფება თელავიდან 10 ვერსის მანძილზე სოფ. აწყურის თავში. ეკლესია კარგა მოზრდილია და მომცრო ეზოს გალავანი არტყია, რომლის ზღუდეში მოთავსებულია სამრეკლო და რამდენიმე ოთახი კრებულისათვის. იგი მიწერილია შუამთის მონასტერზე და ამჟამად განაგებს შუამთის მონ. ხაზინადარი იღუმენი ნიკოლოზი, მხოლოდ აქ გამუდმებით სცხოვრობს ერთი ბერი.

თეთრი გიორგის სიწმიდე მთელ კახეთში გათქმულია. საიდამ არ მოდიან სალოცავად და სამლოცველოს შესაწირავად, ბარს გარდა, მთიდან და ზემო კახეთიდან, ამისათვის შემოსავლის მხრივ ძალიან მდიდარია, მარტო ეპისკოპოს ეძლევა ამ ეკლესიიდან წელიწადში 600 მანეთი, თელავის სასულიერო სასწავლებელს მარება 600—700 მანეთი და სხვა. ამ ორი წლის წინედ ალავერდის ეპისკოპოზმა, ყოვლად სამღვდელომ დავითმა, ეკლესია მეტად გამშვენიერა და ასფალტი დააგო, წყლის გამოყვანასაც აპირობდა, რომლის სიშორითაც ეხლა დიდად სწუხდება მლოცველი, მაგრამ ველარ განახორ-

ცილა, პიატიგორსკში გადაყვანისა გამო.

15 მარიამობისთვეს ამ დღეობაში მრავალი მლოცველი იყრის თავს, ლოცულობენ, სწირვენ მსხვერპლს და ასრულებენ აღთქმას, მერე მთელ ვეებერთელა მინდორზე, აჭრელებულ ურმების გვერდით, იშლება ლურჯი სუფრა, იწყობა საერთო მხიარულება და მთელ წლის-წლობამდე ჭირვარამში მყოფი, კახურით შეზარხოშებული კახელი გლეხი, ერთი წუთით ივიწყებს დღიურ ჭირ-ვარამს.

**დავიწყებული.**

# სამამულიშვილო ომი.

**1812—1912 წ.**

(დღევანდელ დღესასწაულის გამო).

წელს ასი წელიწადი შესრულდა, რაც რუსეთს გამწარებული ომი ჰქონდა სახელგანთქმულ ნაპოლეონ პირველთან. ამ ასის წლის დღესასწაულის გადახდას რუსეთის მთავრობა დიდის ამბით აპირებს და დღეს თითქმის მთლად რუსეთი ამოძრავდება.

განვიხილოთ მოკლედ, რა მოხდა ამ ასის წლის წინადა, რა მნიშვნელობა ჰქონდა მომხდარს რუსეთისათვის და ჰმართებს თუ არა რუსის ხალხს წარსულის ასეთ ზარ-ზეიმით მოგონება.

მკითხველებს ალბად მოეხსენებათ, რომ 18-ტე საუკუ. დასასრულს საფრანგეთში დიდი არეულობა იყო, დიდი რევოლუციის სუსხი კიდევ ძლიერი იყო. ამ დროს თავი გამოიჩინა კორსიკის კუნძულელმა ნაპოლეონ ბონაპარტემ. ნაპოლეონი პირველად რევოლუციონერი იყო და კაპიტნობის დროს, ტულონის აღებაში დიდად ისახელა თავი. ეს ქალაქი წინად ინგლისელების ხელში ყოფილა და მისი აღება თითქმის ნაპოლეონს ეკუთვნის. ამ საქმის გამო ნაპოლეონ ბონაპარტეს გენერლობა უბოძეს. იგი მომხრე იყო საფრანგეთის რევოლუციის გმირის რობესპიერისა და როდესაც რობესპიერი სიკვდილით დასაჯეს, ნაპოლეონიც ციხეში ჩასვეს, თუმცა მალე კი გაანთავისუფლეს. ეს კია, ჩინები აჰყარეს.

ნაპოლეონმა კიდევ დიდი რამ გაკეთა რევოლუციისათვის—დაამარცხა მეფის მომხრეები და ამის გამო პარიზის ჯარის უფროსობა უბოძეს.

ამის შემდეგ ნაპოლეონმა ბევრ ბრძოლასა და ომში მიიღო მონაწილეობა და, როგორც გენიოსმა მეომარმა, ყველგან იჩინა თავი. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია იტალიის კომპანია და ეგვიპტეზე გალაშქრება.

ეგვიპტიდან ნაპოლეონი მოულოდნელად დაბრუნდა და თავი საფრანგეთის ერთ-ერთ კონსულად აღიარა. დიდხანს არ დაუცდია და ჯერ პირველი კონსულობა მიიღო, შემდეგ იმპერატორობასაც ეღირსა. საფრანგეთის მმართველი წრეები ისეთი მადლიერნი იყვნენ მისი რომ რესპუბლიკა და რევოლუციის მსხვერპლნი დაავიწყდათ და 1804 წელს სენატმა ნაპოლეონ ბონაპარტე იმპერატორად აღიარა.

ამ ხნიდან იწყება ნაპოლეონის ომები, იგი მთელი ევროპის სახელმწიფოებს დაერია და ხან ერთს მეფეს უსხვრევდა ტახტსა და სხვას ამეფებდა, ხან მეორესა. ევროპის უდიდესი ნაწილი ნაპოლეონის ხელში იყო. ჯერი მიმდგარიყო ინგლისსა და რუსეთზე. დიდებულ პიროვნებას მიზნად დაესახა მთელი ქვეყნის დაპყრობა. ინგლისს ვერ გაუბედა პირველად შებრძოლება და რუსეთს მოადგა.

გარეგანი მიზეზი ნაპოლეონის გამოლაშქრებისა იყო კონტინენტალ სისტემის დარღვევა რუსეთის მიერ. ეს სისტემა ნაპოლეონმა ინგლისის კისრის მოსაგრეხად გამოიგონა. კონტინენტალის სისტემის ძალით ყველა სახელმწიფოს, რომელიც ნაპოლეონს ემორჩილებოდა, ან გავლენას განიცდიდა, ხელი უნდა აეღო ინგლისთან ყოველგვარ ურთიერთობაზე, მოესპო მასთან ვაჭრობა და ამნაირად დიდი ბრიტანეთი მატერიკისა და კონტინენტისათვის მოეწყვიტნა. ვაჭრობა განუვითარებელ რუსეთისათვის ძალიან ძნელი საქმე იყო ამის ასრულება. ინგლისიდან დიდძალი საქონელი შემოჰქონდა და ურთიერთობას აგრე ადვილად როდი დასთმობდა. აი, პირველი მიზეზი ომისა.

მეორე მხრით, ნაპოლეონის ომებს რევოლუციური ხასიათი ჰქონდა. ფრანგის ჯარისკაცებს ყველგან შეჰქონდათ თავის ელფერი, ყველაფერს რევოლუციის სუნს აადენდნენ ხოლმე. გარდა ამისა, ზოგი ქვეყნის დაჩაგრულები შეღავათს მიიღებდნენ ხოლმე ნაპოლეონისაგან დაპყრობის შემდეგ. აურაცხელი სარევოლუციო ფურცლებს ავრცელებდა თვით მხვრეველი ჯარი ნაპოლეონისა. არც ეს მოსწონდათ სხვა სახელმწიფოებსა. ამას გარდა, ნაპოლეონმა პოლონეთის მფარველობა დაიწყო და ვარშავის საჰერცოგოს აფართოებდა. ნაპოლეონის იმედით პოლონელებმა სამეფოს აღდგენაც მოინდომეს და ნაპოლეონმა რუსეთისაკენ რომ გამოილაშქრა, პოლონელებიც შეუერთდნენ, მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ნაპოლეონის ლაშქრობაში. რუსის მეფეს ალექსანდრე I ძალიან არ ესიამოვნებოდა პოლონეთის გაძლიერება და ხელწერილიც კი მოსთხოვა ნაპოლეონს—ნუ აღადგენ პოლონეთსაო.

ასე თუ ისე, საქმე გაჩაღებული იყო და ზემოხსენებული მიზეზიც რომ არა ყოფილიყო, ნაპოლეონი თავისას როდი დაიშლიდა, რუსეთს მაინც მოადგებოდა. რასაკვირველია, დასავლეთის აღმოსავლეთისაკენ გამოლაშქრებას საეკონომიო მიზეზებიც ჰქონდა, მაგრამ ეხლა ამის მოხსენების დრო არ არის.

ნაპოლეონმა შეაგროვა აურაცხელი ჯარი, სხვა და სხვა ეროვნებიდან შემდგარი, ჯარისკაცთა რიცხვი ნახევარ მილიონზე მეტი იყო—თითქმის 600 ათასამდე იქნებოდა. 1812 წლის 12 ივნისს ნაპოლეონმა გადმოლახა რუსეთის საზღვარი და გადმოვიდა მდ. ნემანის აქეთა მხარეს. რუსის მხედრობა ჯერ კარგად ვერ მომზადებულიყო, მთავრობა უნებურად თრთოდა სახელმწიფოთა მსხვრეველისა და ძლიერი ადამიანის ნაპოლეონის წინაშე. გარდა ამისა, ჯარი ორ ნაწილად იყო გაყოფილი—ერთს ჰბელადობდა გენერალი ბარკლაი-დე-ტოლი, მეორეს სახელგანთქმული თ-დი ბაკრატიონი. როგორც იყო, მხედართ მთავრებმა მოახერხეს ქ. სმოლენსკთან შეერთება და გამაგრება. ნაპოლეონმა ადვილად აიღო სმოლენსკი და რუსები გამორეკა. ბარკლაის თავისებური ტაქტიკა ჰქონდა და სულ უკან-უკან იხევდა. ხალხი და მთავრობა უკმაყოფილონი იყვნენ ბარკლაისა.

ამნაირად, ნაპოლეონის დიდებული მხედრობა რუსეთში შემოიჭრა და დაპყრობას ჰლამობდა. რუსები იძულებულნი იყვნენ მოეგერებინათ ძლიერი მტერი და ებრძოლნათ თავისისავე მამულისა და მიწა-წყალ-სახლ-კარის დასაცავად. ამ ომს—**სამამულიშვილო ომი დაერქვა.**

რუსის ჯარი სულ უკან-უკან იხევდა და ნაპოლეონი ნელა მოიწევდა რუსეთის გულ-მოსკოვისაკენ. ამასობაში უკმაყოფილება ბარკლაისადმი გაიზარდა და მხედართ მთავრად დანიშნეს გენერალი კუტუზოვი, მოხუცი ადამიანი. თუმცა კუტუზოვმა, გულის გასაკეთებლად, ჯარს რომ ჩაუარა, სთქვა: განა შეიძლება ამისთანა ვაჟკაცები ჰყავდეს კაცსა და უკან დაიხიოსო, მაგრამ ბარკლაის ტაქტიკას ვერ ასცდა და ისევ უკან დახევა ამჯობინა. ამნაირად, საფრანგეთის ჯარი შუაგულ რუსეთს ძოვქა, მოსკოვს მოუახლოვდა,

მოსკოვს ახლო ერთი სოფელი არის—სახელად ბოროდინო. რუსის ჯარი აქ დაბანაკდა. შეჩერდა, რასაკვირველია, ნაპოლეონის ჯარიც. კუტუზოვს გადაეწყვიტნა მტერს აქ შებრძოლებოდა, მოსკოვი არ დაეთმო. სწორედ აქ მოხდა განთქმული—**ბოროდინოს ბრძოლა.** აურაცხელი ხალხი დაიხოცა ამ ბრძოლაში. ორივ მხარეს 80 ათასი კაცი მოაკლდა. კუტუზოვს უნდოდა მეორე დღეს ბრძოლა განეახლებინა, მაგრამ რუსის ჯარი ძლიერ დაზარალებულიყო, დაუძლურებულიყო; ნაპოლეონმა ბოროდინოც მიატოვებინა რუსის ჯარს და მოსკოვს მიადგა. ეს საშინელი ბრძოლა მოხდა 1812 წლის 26 აგვისტოს;

მოსკოვს ახლო რუსის გენერლებს ბჭობა ჰქონდათ, თათბირმა გამოარკვია, რომ მოსკოვის დაცვას რუსის მხედრობა ველარ შესძლებდა. ნაპოლეონის ჯარმა უბრძოლველად აიღო მოსკოვი. ქალაქი მთლად დაცარიელებულიყო. მალე ცეცხლიც გაჩნდა და მთლად გადაიბუგა მოსკოვი: გაქცეულები თითონვე სწვამდნენ სახლ-კარს, ოღონდ მტერს ხელში არ ჩაუვარდესო.

ამასობაში რუსის ჯარი უკან იხევდა კალუგის გზით. ნაპოლეონმა გულის წადილი ვერ აისრულა. ეგონა, მოსკოვის აღებით ომსაც გავათავებო, მაგრამ ნამდვილი ომი სწორედ ეხლა იწყებოდა. ნაპოლეონის ჯარს პირდაპირ ბრძოლას ვერ უბედავდნენ, მაგრამ ცალ-ცალკე რაზმებით მოსვენებას არ აძლევდნენ. ნაპოლეონის ჯარი გაჭირვებაში ჩავარდა სურსათის ძლიერი ნაკლებლობა იყო სადაც კი მივიდოდა ნაპოლეონი, ყველგან გადამწვარ-გადაბუგული ადგილები ჰხვდებოდა. სურსათ-სანოვაგეს ვერა ჰშოულობდა. ნაპოლეონმა ალექსანდრე I ზავზე ჩამოუგდო ლაპარაკი, მაგრამ საქმე ვერ მოხერხდა. უსარგებლოდა იყო ცარიელ და გადამწვარ მოსკოვს დარჩენა და ნაპოლეონმა მოსკოვიდან გასვლა ბრძანა. ამან რუსები ძალიან გაახარა. ნაპოლეონის ძლიერი, დაუმარცხებელი მხედრობა, ის მხედრობა, რომელიც ევროპის სახელმწიფო-ერებს შიშის ზარსა სცემდა—უკან იხევდა, მოსკოვს სტოვებდა, რადგან მტერი ვერ ეპოვნა, ხელთ ვერ ჩაეგდო შესაბრძოლებლად. ნაპოლეონი იძულებულ ჰყვეს ძველის გზით დაბრუნებულ იყო. ეს გზა კი გაოხრებული იყო, სანოვაგის და სურსათის შოვნა გაძნელებული, ამასობაში ზამთარმაც უსწრო ფრანგებს. ზამთარმა უფრო შეაწუხა რუსეთის ყინვებს უჩვევი მხედრობა ნაპოლეონისა. სიცივით აურაცხელი ჯარი იყინებოდა, ავად ჰხდებოდა, უწყალოდ იხოცებოდა. ზამთარმა მოუღო ბოლო დიდებულ მხედრობას.

ტარუტინთა მიურატის კორპუსი დაამარცხეს რუსებმა. თან-და-თან შეთხელდა ნაპოლეონის მხედრობა და მდ. ბერეზინის გადასვლის დროსაც კი აურაცხელი ხალხი დაუხოცეს რუსებმა. ნაპოლეონმა პარიზს მიაშურა და ახალი ჯარის შეგროვებას ჰლამობდა სამამულიშვილო ომი გათავდა, რუსეთი გადარჩა სახელგანთქმულს მეომარს და მის დაღუპვასაც დიდად შეუწყო ხელი.

ამით იწყება ნაპოლეონის ბედის ჩარხის უკუღმა ტრიალი. მთელი ევროპა შეერთდა რევოლუციონერი-მეფის-ნაპოლეონის-წინააღმდეგ და დაარსა „წმინდა კავშირი", რომელსაც პირველად კარგი მიზანი ჰქონდა, მაგრამ შემდეგ სული შეუხუთა ევროპის ერებს, ყოველგვარ მისწრაფებას თავისუფლებისადმი სასტიკად სდევნიდა, რეაქციონურ ძალად გადაიქცა.

შეერთებულმა ევროპამ ნაპოლეონს ტახტზე ხელი აალებინა, ელბას კუნძულზე დაასახლა. ნაპოლეონმა იქიდან გამოქცევა მოახერხა და კიდევ 100 დღე იმეფა. შემდეგ ვატერლოოსთან სასტიკად დამარცხდა. ნაპოლეონის ვარსკვლავი უკვე ჩასვენებულიყო, იგი შეიპყრეს და წმ. ელენეს კუნძულზე გაგზავნეს, სადაც, 1821 წელს გარდაიცვალა.

რუსეთის ომმა ფეხი წააკვრევინა ნაპოლეონს და შესაძლებლად გახადეს მოკავშირეების ჯარის პარიზში შეჭრა და აღება (1814 წ.), რომელშიაც რუსის ჯარიც დიდ მონაწილეობას იღებდა.

სამამულიშვილო ომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მთლად რუსეთისათვის. ამ ომით იწყება ახალი ხანა რუსეთის საზოგადოების ცხოვრებისა. რუსეთი ევროპის კულტურას დაეტაკა და ბევრი რამ ისწავლა თავის მტერ-მოყვარე ფრანგებისაგან; რუსეთის ახალგაზრდა აფიცრებს, რომელთაც ევროპა და პარიზი მოიარეს ამ ომის გამო, ბევრი რამ ახალი ნახეს, თავის სამშობლოს მდგომარეობას დაუფიქრდნენ, წამლის მონახვას შეუდგნენ, სცდილობდნენ გამოეკვლიათ, თუ რად ჩამორჩენილა რუსეთი, როგორ შეიძლება ცხოვრების გაუმჯობესება და სხვა. პარიზის ლაშქრობიდან დაბრუნებულმა მხედრობამ ახალი სული და სიო შეიტანა რუსეთის საზოგადოების ცხოვრებაში და თუ რუსის ინტელიგენცია 1825 წლის ამბოხებას, —დეკაბრისტებმა რომ მოახდინეს, რაიმე მნიშვნელობას აძლევს, უეჭველად ნაპოლეონი და მისი ძლევა-მოსილი მხედრობაც მოაგონდება.

ამიტომ ჰმართებთ რუსებს ამ დროის გახსენება, მოგონება და დღესასწაულის გამართვაც. №

# იაკობ გოგებაშვილის ფონდი

დღევანდლამდე იყო შემოს 794 მ. 59 კაპ.

კვლავ შემოვიდა:

იალტაში შეგრ. რიზმაზოვისაგან 11 მან. 40 კ.

ართანაში შეგრ. კნეინა ნინ. ყარალაშვილისაგან 23 მან. 30 კაპ.

აწყურში შეგრ. მღ. ეფრ. ინასარიძისაგან 11 მ. 40 კ.

სოსო ჩიტოშვილისაგან 5 მ.

ს. მ. კიკნაძისაგან (ე. ხრამელაშვილის სახსოვრად) 10 მ.

თელავში შეგრ. ქ-ნ ს. გ. კურდღელაშვილისაგან 20 მ. 5 კ.

დღევანდლამდე ჩვ. რედ. შემოვიდა სულ 875 მ. 74 კ.

# მოწერილი ამბები

**ბორჩალოს მხარე.**

ბორჩალოს მხარე ისეთი მივიწყებულია ჩვენი საზოგადოებისაგან თითქოს იგი საქართველოს ნაწილს არც კი შეადგენდესო. ზოგნი თითქმის განგებ არიდებენ თვალსა. ექსკურსიები მოაწყეს სხვა და სხვა მხარეს და აქეთ-კი არავის გაუწვანია. საგულისხმო კი ბევრი რამაა. აი, მაგალითად საიდანაც 200-სი ვერსის მანძილზე მოსჩანს იალბუზი და მთელი კახეთისა და ყარაიაზის მინდვრები სარკესავით. ლუკმის მთა განმარტოებითა სდგას, მის წვერზე ამაღლების ეკლესიაა აგებული, და დუმანისის დიდებული სიონის ტაძარი, იქვე გალავნიდან რამდენიმე ათასი საფეხური კიბით გვირაბი ჩამოდის მდინარე მაშევრიდან წყლის საზიდად, რომელიც გარედან მტერთათვის შეუმჩნეველია, ტამარი სიდიდით ანჩხატის ტაძრის ოდენი იქნება. გარშემო რამდენიმე შესანიშნავი ძეგლია; შუა გულში თახჩაა პატარა თაღით, რომელზედაცა მრავალი წარწერაა, ალბად შიგ ვინც არის დასაფლავებული იმის ვინაობას ნიშნავს. აგრეთვე ტაძრის კარის ბჭის თაღის გარშემო მრავალი წარწერაა. ძეგლებთან დიდი საზოგადო სასაფლაოა, ყველა საფლავსა ჩვეულებრივ ქვები ზევიდან -ირქვე უწყიათ. ორი ძეგლი კი განმარტოებით სდგას, ეტყობათ შესანიშნავი ვინმე ყოფილან, ყველა ამათი გამოკვლევა საჭიროა.

ყველამ კარგათ იცის სადაც უფრო ძნელია იქ არის საჭირო სანთლის ანთება, აქეთ მხრისაკენ კი ყურადღება არავის მიუქცევია. აკი იმიტომ მთელი ეს მხარე უცხოელების ხელში ჩავარდა. ეს მხარე ფრიად ნაყოფიერია როგორც ვენახებისა ისე ჭინახულისათვის. აქაური თავთუხი ნაქებია ყველგან ქართლ-კახეთში, არა ნაფუზარს არ შეუძლიან მოიყვანოს იმდენი მოსავალი რამდენიც აქაურ მიწას მოჰყავს. ქვემო ნაწილში დიდძალი ვენახები აქვთ გერმანელებს. ზემო ნაწილში კი, ხვნა თესვის გარდა, არის იგივე უცხოელების ყველისა და ერბო კარაქის რეა ზაოდი, სადაც ამზადებენ დიდ ძალ შვეიცარიულ ყველსა და ერბოსა. შესანიშნავია ბარონ გუჩენბახის ფირმა. დესეტინა 10 მ. და 7 მანეთში აქვს ნაყიდი ერთ ერთ ორბელიანოვისაგან. აქ აღებული ფული ალბად სადმე ბულვარზე გაფლანგა. გუჩენბახი კი ეხლა 100 მ. დესეტინასა ჰყიდის.

ეს ოდესმე უდაბნო ადგილები სამოთხედ უქცევია ბარონ გუჩენბახს. ამ მაზრაში მარტო 4, ქართველი სამრევლოა, **ქვეშისა, ბალიჭისა, ყალმშიისა და გომარეთისა,** დანარჩენები ბერძნები და რუსებია, მართლმადიდებელი რუსების გარდა სექტანტი-რუსებიც ბევრნი ცხოვრობენ მეტი წილი კი თათრობაა, ამათ ერთმანეთში არავითარი მტრობა არა აქვთ. თუმცა ერთი მეორის მომიჯნავენი არიან.

ამ მხარეში მხოლოდ ორ ქართველ — მემამულესა აქვს მოზრდილი მამულები, ერთია თიანეთის მაზრაში ცნობილი მდიდარი მეცხვარე დავით ნადირაშვილი (იგივე გუგუტაშვილი) მეორე დუშელი აზ. ნიკოლოზ კეზელი, რომელსაც მდიდარი საკუთარი ყველისა და ერბოს ზაოდი აქვს, მის ერბოსა და კარაქსა ტფილისში ცნობილი ჩიჩკინი ჰყიდის, თავის ფირმის სახელით.

კეზელს საუკეთესო ჯიშის ძროხა ეყოლება 400-ზედ მეტი, ზაოდი თავისი მოწყობილობით დაახლოებით 200 ათასი მანეთი ღირს. როგორც გავიგეთ ბ-ნი კეზელი ამ ქარხანას ჰყიდისო, კარგი იქნებოდა რომელიმე ქართველ ამხანაგობას შეესყიდნა. წელიწადში რამდენიმე ათასი წმინდა მოგებაა, ყველამ იცის, რა გასავალი აქვს ერბოსა, ყველსა და საკლავსა; ერბო ყველის გარდა ჰყიდიან აგრეთვე საკლავსაც, რომლებიც საჯველად არ გამოდგება აგრეთვე ხარსა და ხბოსაც, წველის ხეირი ასეა 1), ხარისხიდან კარაქი 2) შვეიცარული ყველი 3) კიდევ კარაქი 4) ტვაროგი, უბრალო შრატიც კი არ მიდის უქმათ—ღორებს ასუქებენ. აქედან ტფილისამდე 100 ვერსია, რკინის გზის სადგურ სანდარამდე 70 ვერსია.

1908 წლიდან ამ მაზრაში ვმსახურობ. ყოველწლივ თითო ნემენცი მაინც უნდა დასახლდეს. ცარიელები მოდიან და ასი ათასობით იძენენ, საკვების მხრივ ზამთარ ზაფხულ პირუტყვი უზრუნველია. მილიონობით ითიბება თივა. ჰაერის მხრივ სამაგალითოა, ზაფხულში სამოთხეა მწვანე ხავერდივით ყვავილებით მორთული ვეებერთელა ველები. ცივი და წმინდა წყაროები და მთები. ამ თხუთმეტიოდე წლების წინად ისეთი სიიაფე ყოფილა მიწებისა რომ დესეტინა 25 მ. 30 მანეთში, თურმე, იყიდებოდა. როდესაც იმერეთში და რაჭაში მიწის სიძვირე და სივიწროვე იყო, ჩვენმა შეგნებულმა საზოგადოებამ ყურადღება არ მიაქცია ამ მხარესა, რომ ხალხისთვის დახმარება და წინამძღოლობა გაეწია, სიტყვით მაინც და რაჭიდან გადმოესახლებინათ. თათრები და ბერძნები მოსულან სხვა და სხვა მხრიდან, დასახლებულან, მემამულესაგან შესყიდულ მამულზე. ისე თათრის სოფელს ვერ ნახავს ადამიანი რომ 2 და 3 ეკლესია არ იყოს, აგრეთვე ტყეებში გზა და გზა ყოველ თითო ვერსტზე თითო ეკლესიაა ზოგში წარწერაც ეტყობა, რომელიც მოწამეა ქართველთა წარსული დიდებისა.

ზოგს კი ისე აქვს წარმოდგენილი, ვითომც ეს მხარე ყაჩაღთა ბუდე იყოს ზემოთაც მოგახსენეთ, ბორჩალოს მაზრაში უფრო შეძლებული მემამულეები სცხოვრობენ, ვიდრე საქართველოს რომელიმე მხარეში, მაგრამ არავის ახსოვს რომ ვისმეს რაიმე დაეშავებინოს მათთვის, მაშინ როდესაც ქართლ-კახეთი ავაზაკთა, სათარეშოდ გადაქცეულა.

ს. ყალმშიის სამრევლო მღვდელი
**გიორგი ომარაშვილი.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

25 აგვისტო.

**საზღვარ-გარედ.**

**იტალია და ოსმალეთი.**

**რომი.** „სტეფანის სააგენტოს" შემდეგს ატყობინებენ: რადგან ლიბიაში იტალიელებმა სამხედრო მოქმედება უკვე გაათავეს და მაკაბეციდან მოყოლებული თობრუკამდე ფაქტიურად ყველაფერი იტალიელთა ხელშია, ამიტომ იტალიას გადაუწყვეტია ტრიპოლისა და კირენაიკის ჯარის მთავარ-მართებლებს დამოუკიდებლობა მიანიჭოს. ამიტომ ტრიპოლის ჯარის უფროსად ეხლა გენერალ-ლეიტენანტი რანი იქნება, კირენაიკისა — გენერალ-ლეიტენანტი-ბრიკოლა, რომელსაც ეკუთვნის სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობა.

**სპარსეთის ვითარება.**

ტფილისიდან ცნობა, ტყუილია, თითქოს რუსეთის საზღვრებში 1600 შაჰსევანი შემოჭრილიყოსო. შაჰსევნებს მალე მოუგრეხთ კისერსაო.

კავკასიის ნამესტნიკი დეპეშით მინისტრთა საბჭოს შემდეგს ატყობინებს: გენერალმა ფიდაროვმა 16 აგვისტოს შირინსუსა და მდინ. ყარასუსთან დასტოვა 2 როტა, 2 ტყვიის-მფრქვეველი, 2 ზარბაზანი და 500 ყაზახი პოზიციის უზრუნველსაყოფლად და თითონ ბორრანისაკენ წავიდა, მაგრამ იქ შაჰსევნებს არ შეხვედრია: ისინი ისე სწრაფად აყრილიყვნენ და დასავლეთ-ჩრდილოეთისაკენ მიეშურებინათ, რომ ზოგს ცხენებიც კი მიეტოვებინა. ერთ ცხენს უნაგირში უპოვნეს საპეხდართან მინაწერი წერილი, რომელსაც ხელს აწერს შვიდი ტომის ბელადი. ფიდაროვი 17 აგვისტოს გამოუდგა შაჰსევნებს და არაქსთან თავს წაასწრა. 18 აგვისტოს ფიდაროვმა 5 ათასი სული საქონელი წაართვა შაჰსევნებსა. შაჰსევნებმა სოფელ თაზანკეთისაკენ დაიწიე. გაუგია რა ფიდაროვს, შაჰსევანთა ნაწილი ჰქონებოდ, ცოლშვილიანად ისევ სამხრეთისაკენ წასულაო, მაშინვე წასულა 300 კაცით გზის მოსაჭრელად

**ოსმალეთი და ბულგარეთი.**

**ცეტინიე.** აქ ხმა დავარდა, ბერანის ოლქში საალყო წესები შემოიღეს, თუმცა ჯავიდ-ფაშამ აუწყა—ფაქტიურად სამხედრო წესებსაც ვერ შემოიღებთო.

ჩერნოგორიის საზღვარზე შეხიზნულნი სამშობლოში დაბრუნებას ჯერ ვერ ახერხებენ.

**ბერლინი.** ბევრგან ხმა დავარდნილა, ბულგარეთისა და ოსმალეთის ომს უნდა ველოდნეთო. ოსმალეთის საპოლიტიკო წრეებში ლაპარაკობენ, იმედია, ფერდინანდ მეფე შესძლებს ხალხის შეჩერებას, რადგან თუნდა გაიმარჯვონ კიდეც, არა გვგონია ბულგარეთის ხალხმა წადილი აისრულოსო.

**ფრანგები და მაროკოელები.**

**რაბათი.** ბანაკიდან 10 ვერსის მანძილზე პოლკოვნიკ ბლონდლის რაზმს ზაერის ტომელები დაესხნენ თავსა. ფრანგებმა ფრთ [illegible] ხუთი ვერსის მანძილზე სდიეს მაროკოელებს. [illegible] ძალიან დაზარალებულან.

**გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი შვეიცარიაში.**

**ცურიხი.** იმპერატორმა ვილჰელმმა ინახულა გერმანელთა კავშირების დეპუტაციები და ქონებრივი მდგომარეობის ამბავი გამოჰკითხა.

ვილჰელმი ძალიან ნასიამოვნებია თურმე შვეიცარიაში ყოფნითა.

**ეკონომისტთა ყრილობა.**

**ცურიხი.** გაიხსნა ყრილობა, რომელმაც სოციალი საკითხები უნდა გაარჩიოს. ყრილობის პირველი სხდომა ცუდაობასთან ბრძოლის საკითხის გარჩევას მოუნდა. ყრილობაში 20 ერის წარმომადგენელნი არიან.

**ჩინეთი და მონგოლეთი.**

**მუკდენი.** მანჯურიის მთავრობას პეკინიდან ბრძანება მოუვიდა: ყოველი ღონისძიება მიიღეთ და შიდა მონგოლეთში დაწყებული მოძრაობა მშვიდობიანად დაამთავრეთ, სასტიკობას ერიდენითო.

**ინჟენერის და ორი მშველელის დახრჩობა.**

**ბეთუნი.** მაღაროებში მომხდარ აფეთქების შემდეგ მკვდრებს რომ ეძებდნენ, ინჟენერი და ორი მშველელი გაიგუდა.

**ბერტჰოლდის წინადადება.**

**ლონდონი.** ბერტჰოლდის უკანასკნელი წინადადება გრეიმ განიხილა. წინადადებას ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია.

**რ უ ს ე თ ი**

**ბოროდინოს ბრძოლის ადგილი,**

**ბოროდინო.** ჩამოვიდა სამხედრო მინისტრი, მოსკოვის მიტროპოლიტი და უმაღლესი სასულიერო პირნი.

ბოროდინოს ველი მშვენივრად არის მორთული. აქ მოუგროვებიათ თითქმის მთელი რუსეთის ჯარის ნაწილები და წარმომადგენლები.

მშვენიერი სადგომია დამზადებული აგრეთვე მეფისათვის.

სხვათა შორის, ბოროდინოს ბრძოლაში დახოცილ ფრანგებსაც დაუდგეს ძეგლი.

ჩამოვიდა კოკოვცევი და შინაგან საქმეთა მინისტრი მაკაროვი.

**მინისტრის მატარებელი.**

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტროს ა ხცელარია იუწყება: ტყუილია, ვითომ მოსკოვ-კურსკის რკინის გზაზე გზათა მინისტრის მატარებლის გადაბრუნება მოენდომებინოთ, მაგრამ ვერ მოეხერხებინოთო, უბრალო ხე იდვა ლიანდაგზე და სხვა არაფერიო.

**რედაქტორის დაჭერა.**

**პეტერბურგი.** „გროზას" რედაქტორი სამის თვით ციხეში ჩასვეს 23 აგვისტოს ნომერში მოთავსებულ წერილისათვის, რომელსაც სათაურად ჰქონია: „სამართლის სამინისტროს სამართლისავე მინისტრისაგან დასაცავად".

**რედაქციის დაჯარიმება.**

**მოსკოვი.** „უტრო როსიის" რედაქცია ათასი მანეთით დაჯარიმეს ორი წერილის გამო: „აზეფები ჯარში" და თავისუფალ მხარეში".

# უცხოეთი

**ჩ ი ნ ე თ ი**

მძიმე კრიზისის ხანაშია ჩინეთის ნორჩი რესპუბლიკა. ძველი რეჟიმი ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ ახალიც ვერ გამაგრებულა ჯერ-ჯერობით. საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ რესპუბლიკანურ მთავრობის მიერ განზრახული რეფორმები უფულობისა გამო მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი რჩება და ქვეყანა უწესრიგოებისა და უკანონობის ქსელშია გახვეული. უცხოელ კაპიტალისტებისაგან განზრახულ სესხის აღება ვერ მოხერხდა, რადგანაც გამსესხებელნი გარანტიად ჩინეთის შემოსავალ-გასავლის მეთვალყურეობას თხოულობდნენ. შინაგანი სესხი კი, მიუხედავად მთავრობის აგიტაციისა, ძლიერ ცოტა იმედს იძლევა, რადგან მოხარკე ხალხი ძალზე გაღარიბებულია და ახალი გადასახადის გაღება მას აღარ შეუძლიან. იმდენად გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფება ახალი მთავრობა, რომ მარილზედაც კი აპირობს ბაჟის დადებას.

მეორე მხრით, ჩინეთის შემადგენელი ნაწილები — მონგოლეთი და ტიბეთი — თითქმის ჩამოშორდნენ ცენტრს და ჰსურთ საკუთარის ძა-

ლით მოაწყონ თავისი საქმეები. განსაკუთრებით მონგოლეთის საქციელი აღონებს რესპუბლიკის ახალ მთავრობას. ეს ერთი ხანია შეკავშირებული მონგოლეთი ჯარს აგროვებს და სამხრეთისკენ—მანჯურიაში—მიიწევს. უკანასკნელ ცნობებით ამ მოძრაობ ას მეტად სერიოზული ხასიათი აქვს. თავადმა უდაიმ რამდენიმე ათასი მონგოლი შეჰკრა მონგოლეთიდან. მუკდენს მიმავალი გზები, რამდენიმე მისი რაზმი შიდა მანჯურიას შეიკრა და ბოდუნესკენ მიისწრაფის. ეს მოძრაობა იმდენად მოულოდნელი იყო ცენტრალურ მთავრობისათვის, რომ არ იცის რა ჰქმნას; მით უმეტეს, რომ დღემდე გამოურკვეველია მიზანი და ადგილი, საითკენ მიილტვის ეს აშოდენა ჯარი. ციციკარის მიდამოებში მონგოლები მეტად თამამად მოქმედობენ, მათი სამხედრო ძალა დღითით-დღე იზდება; ჩინეთის მთავრობა კი მათ საწინააღმდეგოდ ჰგზავნის მცირე რაზმებს, რომელნიც მეტ წილად ხუნხუზებისაგან შესდგება. მანჯურიის ვიცე-კოროლი დაჟინებით თხოულობს პეკინისგან ერთ მილიონ ტაელს რაზმების შესადხენად და ჯარის ჯამაგირად, მაგრამ მთავრობა სდუმს, რადგან სახელმწიფოების სალარო ცარიელია.

უკეთესი მდგომარეობა არც ტიბეთშია. ამ უკანასკნელის მოსარჩლეობა ინგლისმა იკისრა. რადგან ინგლისს განზრახვა აქვს მომავალ ძლიერ ჩინეთს სანგრად დაუდვას დამოუკიდებელი ტიბეთი, რომ ამით უზრუნველჰყოს თვისი ახალშენი, მდიდარი ინდოეთი, ამიტომ მან წინადადებით მიჰმართა პეკინის მთავრობას, რათა მას ეცნო ტიბეთის დამოუკიდებლობა. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პროტესტი განუცხადა ამის გამო ინგლისის ელჩს და აცნობა, რომ ასეთი განზრახვა ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევა იქნება, რასაც რესპუბლიკის მთავრობა ვერაოდეს ვერ შეურიგდებაო. პასუხი ასეთი იყო, მაგრამ საქმით ჩინეთს არ შეუძლიან ხელი შეუშალოს ტიბეთის ჩამოშორებას ზემოხსენებულ მიზეზების გამო. თუმცა ეს ჩამოშორება თითქმის მომხდარი ფაქტია, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელნი მაინც გულს არ იტეხენ. ცნობილ სუნიატსენს უთქვამს: მართალია ჩინეთს დღეს არ შეუძლიან ტიბეთის დამოუკიდებლობას ხელი შეუშალოს, მაგრამ მომავალში კვლავ დაიპყრობსო.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

## მატარებელთა მიმოსვლა (საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ.** № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, ღამის წ. 12 ს. 10 **სახალხო** № 6, ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-IV კლ. ვაგ, ან მე-III, დილის 4 ს. 37 წ.

**ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ.** № 11, პლაცკარტით ღამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, სიღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

**მცხეთაში: საგარაკო** მ ა ტ. № 77 a **, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საგარ. მატ.** № 77 **, დილ. 8 ს. 45 წ.

**ჯულფისკენ: საფოსტო** № 74/75 ღამის 12 ს. 40 წ.

**ერევნისაკენ: სამგზ. და საბარგო მატ.** № 78/79, მე-II და მე-III კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ. და საბარგ. მატ.** № 109|104 I—III კლ. ვაგ. დილ. 11 ს. 28 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან: ჩქარ. მატ.** პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 107, დილ. 4 ს. 56 წ.

**ბათომიდან: ჩქარ. მატ.** პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. № 106, ღამ. 3 ს. 40 წ.

**მცხეთიდან: სააგარაკ.** № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **სააგ.** № 76 **, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

**ბორჯომიდან: სახ.** № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

**ჯულფიდან: საფ.** № 72|73, დილის 7 ს. 26 ს.

**ერევნიდან საქონ. და სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 48 წ. **საქონ. და სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

## გემების მიმოსვლა

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარული**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარული** ხუთშაბათს ღამის $12\frac{1}{2}$ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ $12\frac{1}{2}$ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღონ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18 ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

## სანაოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის $12\frac{1}{2}$ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ.

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 682.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

## ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.
**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.
**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.
**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

## უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 715).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71

# განცხადებანი

**ქალაქიდან წასვლის გამო შემთხვევით იყიდება**

11 ოთახ. მოწყობ. საწ. სტოლ., ახალი პიანინო, მუხის ბუფ. style moderne, რბილ მებელ. გარნიტ. style Napoleon, ოსმალური დივანი პლუშისა, ინგლ. კრაოტი, მარმარ. პირისაბანი, ტრიუმო, სკამები, შკაფები, სურათები, objes de luxe, საზღ.-გარეო. ქედლ. მოსართ. და სხ.—ჩარჩები არ მოგვეკარონ. გრიბოედოვის ქ., 5 ბინა 8. დილ. 10 საათ.—საღ. 6 საათამდე. (1.633.1)

**გ. და მ. ტერ-დავიდიანცის**

## საბუღალტრო კურსები

ტფილისში, ნიკოლოზის ქ., № 36; ვორონცოვის ძეგლთან. ყოველნაირ ცნობებისთვის კურსების კანცელარია ღიაა ყოველ დღე საღამოს 4—7 საათამდე. (25—1437—13)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**606**—11—12 ს. **შეზაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. ბეგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** $9\frac{1}{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. ბვეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მიერიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.** (წ. 1078.199

## იყიდება

**72 საჟენი სამოსახლო მიწა**

ახალშენში — ვერიის ბაღებთან ახლო—ძლიერ იაფად. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზედ, სახლი წილოსნისა, № 54, მეპურე უთმელიძეს. (1—632—1)

**600 ნივთი 2 მ. 90 კ.**

**25 მანეთის მაგიერ.**

ჩვენი ფირმი გასაცნობად, ვგზავნით 600 სასარგებ. და ძვირფას ნივთს, ამათში უმთავრესია, საუცხოვო ჯიბის საათი ათის წლის თავდებობით, ოქროს დუბლა-ძეწკვი ქალისა და კაცის, დუბლა-ოქროს ბეჭედი ამერიკულ ბრილიანტ. ასეთივე მანიაკი, ბროშკა და საყურეები (ნამდვილ 200 მანეთიანიდან ვერ გაარჩევთ. ყველა 600 ნივთისათვის მხოლოდ 2 მ. 90 კ. ვგზავნით. მარტო საათი ღირს 6 მანეთად. ფასდადებით გაგზავნით ერთიდან სამ წყვილამდე ერთად გაგზავნით ემატება 55 კ., ციმბირში—25 კ. დაწუნებულს უკან ვღებულობთ, ფულსაც ვაბრუნებთ.

О-во Меркурiи Лодзь. Мэтцлъ 7811. (2.1430.1)

## ქართულ ენაზე ჭრა-კერვის წიგნი

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარებ შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварны пер., 2, соб. д. (100—1231—31)

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი სახელმძღვანელოები:**

ჩვენი მწერლობა, (მგოსნები), ს. გორგაძე . . . ფასი 50 კ.
გუთანი, ოჯახში და სკოლაში საკითხავი . . . . . 85 „
მოძრავი ანბანი—კარდონზე 30 „
ანბანი კუბიკებზე . . 1 მ.—
წყარო, ა. ქუთათ. მოსამზადებ. კლ, II, . . . . . 50 „
წყარო, იმსივე, ანბანი და პირველ საკითხავი . . . 25 „
არითმეტიკული კრებული ხრამელაშვილისა I, ყდით . 40 „
იგივე ნაწილი II, ყდით . 50 „
მოკლე სახელმძღვანელო საზოგად. გეოგრაფ.—აზია, აფრიკა, ამერიკა და ავსტრალია 35 „
მოკლე სახელმძღვ. საზოგად. გეოგრაფიისა, ევროპა . . 35 „
მოკლე საუბარი, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირ.-დაწყებ. კარი გეოგრაფ. ალ. ქიქ. 20 „
ფიზიკური გეოგრაფია . . 20 „
ქართ. წმინდანები, სასულიერ. სასწავლებლებისთვის იოსელ. 50 „
ყუბანეიშვილი. პირ.-დაწყ სწავლება საღვთო სჯულზე, ყდ. 30 „
ახალი აღთქ. სამღ. ისტ., მისივე 40 „
ძველ. აღქმ. სამღ. ისტ. მისივე 50 „
**ქართ. წერ. რვეულ. წ. კ. გამოცემა** წყვილი . . . . 5 „
ათასამდე ყოველი ასის ფასი 2 მ. 40 „
ათასზე მეტი ყოველი ასი 2 მ. 30 კ.

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. (წ. 1141.108)

ქალთა საყურადღებოდ. — **ახალი საშუალება** — ქალთა საყურადღებოდ —

პირისახისათვის რძე

## ბეტი

**ფარმაცევტ ს. ს. ნადარეიშვილისა.** მზადდება მაღნეულ ნაწარმოებთაგან. ყოვლად უვნებელი და იდიალური საშუალებაა პირისა და ხელებისათვის. სახეს აძლევს სინორჩესა და კანს სინაზეს. აქრობს ძიძიბებს (ფერის-მჭამ.), მზის ნამწვს და სრულიად სპობს ნაოჭებს. ვურჩევთ კაცებსაც, რომელნიც ხშირად იპარსავენ პირსა და პირის კანი ექერტლებათ. უტყუარი საშუალებაა. გვაქვს ბევრი მადლობის წერილები. მოითხოვეთ აფთიაქებში და სააფთიაქო საწყობებში. ფასი 1 ფლ. 1 მან. ვუგზავნით ფასდადებით.

წარმომადგენელი მთელი რუსეთის იმპერიაში **ო. გ. ახობაძე და ამხ.** მთავარი საწყობი თბილისში, ლორის-მელიქოვის ქ. № 6, ქუთაისში განყოფილება ქუთაისში აფთიაქის საწყობი დარახველიძისა 50—1495—1

შინაგ. საქმ. სამინისტრ. ნებადართ. (№ 9696, 1907)

## „სპერმატინი“

დამზადებულია ი. ნ. ივანოვის ლაბორატორიაში, ექიმებისა და ფარმაცევტების მეთვალყურეობით. „**სპერმატინის**“ გამოგონება ეკუთვნის დიდებულ ფრანგ პროფესორს ექიმ **ბროუნ-სეკარს.** მან, 76 წლისამ თავის თავზე გამოსცადა ამ წამლის გადამხალისებელი და ჯანის გამმაგრებელი გავლენა.

მას მერე მკურნალებმა დაადასტურეს, რომ „**სპერმატინი**“ უებარი წამალია: მოხუცებულების სისუსტისა, სისხლნაკლებისა მძიმე ავადმყოფობისა, ნერვებ აშლილისა, გონებისა და სხეულის მოქანცულობის სქესებრა, მოჭარბებისა, ჯანის გატეხისა, დამპალ ციებისა, ძარღვების მოდუნებისა, ხერხემლ. ტვინის გახმობისა, სიდამბლისა, კაცობიდან ჩამოვარდნის, წყალმანკისა, გულისფრიალისა შაქრის ავადმყოფობისა, ქარებისა, ათაშანგისა, ... ოთობისა, ყაბზობისა, ჭლექისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა და სხვ.

1 შუშა ღირს 2 მ. 40 კ. ტაბლეტ—2 მ. 75 კ. ფასდადებითაც შეიძლება დაბარება. გასაგზავნს დამბარებელი იხდის. იყიდება კავკასიაში მთავარ წარმომადგენელთან—**ი. ახობაძე და ამხ**“. ტფილისი, ლორისმელიქოვის ქუჩა, სახლი № 6 a, ეზოში. (50—1464—1)

სავაჭრო და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## ნ. ვ. აბრაამიანის საბუღალტრო კურსები

(არსებობს 1895 წ.)

**ავტორი „ბუღჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ვაჭრ. და მრეწ. სამინისტროს მიერ.**

ორივე სქესისათვის **კურსი 4 თვისაა** ყოველ-დღიური მეცადინეობით.

სწავლა იწყება 15 სექტემბერს, 1912 წ. კურსებზე ასწავლიან ბუღჰალტერიისა და სხვა სავაჭრო ცოდნათა საგნებს მრეწველობის სხვა და სხვა დარგიდან, მაზუთისა და ნავთის მრეწველობაზე—ყოველ ნაირ წესით. დახელოვნება ორმაგ იტალიურ სისტემაში. კომერც. არითმეტიკა, კომერც. მიწერ-მოწერა, სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება, პოლიტიკური ეკონომია, არითმეტიკა ჩოთქზე, ლამაზი წერვა, ხელის გასწორება, მსურველთათვის **უცხო ენები**, სტენოგრაფია და რემინგტონ. **მასწავლებელნი**—სპეციალისტნი უმაღლეს სწავლით, პრაქტიკულად და თეორეტიულად ყოველ ცალკე საგანში მომზადებულნი. **ატესტატები** სამინისტროს ნებართვით. პროგრამები და წესები უფასოდ ეძლევათ. თხოვნები მიიღება ყოველ დღე 9—11 საათამდე და 5—7 საათამდე.

ნაკლებ მომზადებულთათვის კურსებთან არსებობს მოსამზადებელი განყოფილება რუსულ ენისა და ანგარიშისა.

წერილობით და პირადად მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს: ნიკოლოზის ქ., 22, საკუთ. სახლი. **ტელეფ. № 744.** (ო. 1450 3)

გამოსულია და იყიდება

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა“ „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

მიიღეთ მარიამობისთვის

**შვედური და დელიკატესნი კილკები.**

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტელეფონი № 712.**

ბოჭკის საუკეთესო **ხიზილალა,** გირვანქა 1 მ. 60 კ. აგრეთვე მოგვდის ცოცხალი **ლოქო** და **კობრი,** |საზანი.| (წ.1131.239)

## იმერული შამპანიური ღვინოები,

**ფილიპე ნიკოლოზის ძის ჭელიძისა** ქუთაისში,

„კოლხიდა“ და „თამარა“

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის სპგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. (37.[illegible]166.2)

ხელოვნურად შეზავებული

## სამკურნალო და ხილეულობის წყალი მიტროფანე ლაღიძე და ამხ^სა.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს.**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში, გოლოვინის პროსპ. № 5 ტელეფონი № 411, ქუთაისში— პუშკინის ქუჩა № 6.** (25.1 407.7)

ვაჭრობა-მრეწველობის უწყებაში მყოფი

## ბუხჰალტ რიის პრაქტიკული კურსები და კომერციული ანგარიში

## ი. ფ. კალატნიკოვისა,

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 132).

1912—13 წლის სემესტრში ქალ-ვაჟთ შეუძლიანთ მიღების თხოვნა შემოიტანონ და ჩაეწერნენ ყოველ დღე დილის 10 საათიდან საღამოს 9 საათამდე. მეცადინეობა 15 სექტემბერს დაიწყება.

კურსებზე ორივე სქესის მსმენელნი იძენენ საფუძვლიანსა და სრულიად დამთავრებულ მომზადებას, კანტორა ბუხჰალტერიისა და სააღებ-მიცემო მიწერმოწერის დამოუკიდებლად საწარმოებლად.

კურსებზე შემსვლელნი საფუძვლიანად სწავლობენ: 1. **ბუხჰალტერიას** უბრალოს, ორმაგს, იტალიურს, გერმანულს, ამერიკულსა, ფრანგულსა და ახალ რუსულს (ყველა სისტემის შესასწავლად სავალდებულოა პრაქტიკული მუშაობა) 2) **ანგარიშების წარმოებას:** საზოგადოდ სააღებ-მიცემოს, საბანკოს, საქარხნოს, საზოგადოს, სასოფლო-მეურნეობისას, ქალაქისას და ერობისას. 2 საკომერციო არითმეტიკას, 3. სავაჭრო უფლებას, 4) თამასუქების უფლებას, 5) სააღებ-მიცემო მიწერ-მოწერას, 6) ანგარიშს საანგარიშო ჩოთქზე. 7) ლამაზსა და სწორ წერას (კალიგრაფიას), 8) საწერ მანქანის ხმარებას, 9) რუსულ ენას, 10) არითმეტიკას, 11) **უცხო ენებს:** ინგლისურს, ფრანგულსა და გერმანულს, 12) უცხო ენებზე სააღებ-მიცემო მიწერ-მოწერას.

**რუსულსა და არითმეტიკის მსმენელთ უფასოდ ასწავლიან.**

მასწავლებლებად მოწვეულნი არიან უმაღლეს სწავლა მიღებული სპეციალისტები. კურსების წესდება და პროგრამა მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ. (25—1447—3)

## 1912 წ. მიიღება ხელის მოწერა

**დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულ“-ზე**

**წელიწადი მერვე.**

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

**წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:**

**24** წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12** წიგნი „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს

**დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა 5 მან., ნახევარ წლით—3 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Головинскій просп. д. № 8 და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიცარიძესთან, თ. მთავარიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტრაფიმ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილიასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ აბულაძიანთან და ივანე ელიაშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან. **ყარსში**—ფერშალ ვანო საათაშვილთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**.
(წ.—1393—99 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ტფილისი, მუხრანისქუჩა № 12, სტამბა „შრომა“.